სერბეთის პატრიარქი პორფირი: კიევ-პეჩერის ლავრის წინამძღვრის ადგილმონაცვლე რელიგიური კუთვნილების გამო პატიმრობაში აღმოჩნდა

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 23.07.2023. 22 ივლისს სერბეთის უწმინდესმა პატრიარქმა პორფირიმ წერილობითი მიმართვა გაუგზავნა რიგ რელიგიურ ლიდერს და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, უფლებადამცველებს და მოუწოდა მათ გამოიყენონ თავიანთი ავტორიტეტი მსოფლიოში, რომ ხელი შეუწყონ კიევ-პეჩერის ლავრის წინამძღვრის ადგილმონაცვლის, ვიშგოროდისა და ჩერნობილის მიტროპოლიტ პავლეს გათავისუფლებას, რათა იერარქმა შეძლოს თავისი სახარებისეული მისიის გაგრძელება.

14 ივლისს მიტროპოლიტი პავლე უკრაინის დედაქალაქის ერთ-ერთი რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით პატიმრობაში აიყვანეს და ციხეში მოათავსეს. მანამდე ის რამდენიმე თვის განმავლობაში სადღეღამისო შინაპატიმრობაში იმყოფებოდა.

მიმართვის ადრესატებს შორის არიან: ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების წინამძღვრები; რომის პაპი ფრანცისკე; ანგლიკანური თემის მეთაური, კენტერბერის მთავარეპისკოპოსი ჯასტინ უელბი; გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ანტონიო გუტერიში; გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარი ფოლკერ თურქი; ასევე, ეკლესიათა მსოფლიო საბჭო; ევროპის ეკლესიათა კონფერენცია; ევროკავშირის ეპისკოპოსთა კონფერენციის კომისიის ხელმძღვანელობა; ორგანიზაციები Amnesty International და Freedom House, – **იუწყება** სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ვებგვერდი.

როგორც უწმინდესი პატრიარქი პორფირი აღნიშნავს, ფართომასშტაბიანი, რთული და სახიფათო ისტორიული ცვლილებების დროს, როგორსაც, რა თქმა უნდა, დღევანდელობა წარმოადგენს, ყოველი ადამიანი, ვინც სამართლიანობას იცავს, ვალდებულია, განურჩევლად მისი რელიგიისა, ეროვნებისა, იდეოლოგიური თუ პოლიტიკური შეხედულებისა, მიუთითოს ცალკეული პირის მიმართ ჩადენილ უსამართლობაზე და მათ ფუნდამენტურ უფლებებზე. ასეთი უსამართლობის მაგალითია ვიშგოროდისა და ჩერნობილის მიტროპოლიტ პავლეს შემთხვევა.

მიმართვაში ხაზგასმულია ასეთი გადაწყვეტილების საფუძვლის არაიურიდიული ხასიათი. მისმა უწმინდესობამ აღნიშნა, რომ ეს, ერთი მხრივ, უკრაინაში შექმნილი მძიმე ვითარების შედეგია, სადაც სამხედრო კონფლიქტი გრძელდება და, მეორე მხრივ, ეს არის ამჟამინდელი ხელისუფლების განზრახვის გამოხატულება, დაიპყროს კიევ-პეჩერის ლავრა – მთელი მართლმადიდებლური სამყაროს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სიწმინდე.

რელიგიური ლიდერებისა და საერთაშორისო მოღვაწეებისადმი მიმართვაში სერბეთის პატრიარქი პორფირი ტკივილითა და სიმწარით აღნიშნავს, რომ ვიშგოროდისა და ჩერნობილის მიტროპოლიტი პავლე, რომელიც ყოველთვის მოუწოდებდა მშვიდობისაკენ, კონფლიქტების შეწყვეტისა და დიალოგის გზით გადაწყვეტილებების ძიებისაკენ, არ უნდა იყოს გასამართლებული და მისჯილი პოლიტიკური შეხედულებების გამო, მას არ უნდა ჩაეთვალოს დანაშაულად სიტყვები და, მით უმეტეს, აზროვნება.

მიტროპოლიტი პავლე პატიმრობაში აღმოჩნდა რელიგიური კუთვნილების გამო და ეს არის ადამიანის უფლებების დარღვევის აღმაშფოთებელი მაგალითი, – განაცხადა მისმა უწმინდესობამ, და აღნიშნა: „ის დააპატიმრეს იმის გამო, რომ მართლმადიდებელი იერარქია, თავისი უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიისა და მსოფლიო მართლმადიდებლობის ერთგული მოღვაწე“. მიტროპოლიტი პავლე „ურყევი მცველია მონასტრისა, რომლის იღუმენიც ის არის“. სწორედ ამ ხარისხში წარმოადგენს იგი იმის გადაულახავ დაბრკოლებას, რომ „კანონიერებისა და და ლეგიტიმაციის სახე“ მიეცეს კიევი-პეჩერის ლავრის მიტაცებას სხვა – ეკლესიის ნიღაბაფარებული – სტრუქტურის მიერ.

უწმინდესმა პატრიარქმა პორფირიმ მოუწოდა, გამოვიდნენ მიტროპოლიტ პავლეს დასაცავად და რაც შესაძლებელია, ყველაფერი გააკეთონ მისი გასათავისუფლებლად.

როგორც ადრე იყო **ნაუწყები,** 2023 წლის 15 ივლისს მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესმა

პატრიარქმა კირილემ მიმართა ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების წინამძღვრებს, რიგ რელიგიურ ლიდერს და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, სადაც ატყობინებდა კიევ-პეჩერის წინამძღვრის ადგილმონაცვლის, ვიშგოროდისა და ჩერნობილის მიტროპოლიტ პავლეს დევნის შესახებ, და მოუწოდებდა მათ, ყურადღება გაემახვილებინათ უკრაინაში უკრაინის კანონიკური მართლმადიდებელი ეკლესიის დევნის ფაქტებზე.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/90557/